



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 352

ქალაქი ქუთაისი 25 იანვარი 2017 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით /სასყიდლით/, შპს „იმედი XXI საუკუნესათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორებისა და მუნიციპალიტეტის ქონების ტოლფასი ქონების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ფიზიკური ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრებაში გადაცემის დამატებითი წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის № 65 დადგენილებისა და შპს „იმედი XXI საუკუნეს“ დირექტორის (17.01.2017 წლის N1491/01) მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურღულიას, შპს „იმედი XXI საუკუნესათვის“ /ს.კ. 212700077/, პირდაპირი განკარგვის წესით /სასყიდლით/, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, 9 აპრილის ქუჩის მარცხენა მხარეს მდებარე გაზონის /ნაკვეთი N1/ ნაწილის /ფართობი – 250.0 კვ.მ. საჯარო რეესტრის ამონაწერი N03.01.03.526/, 25 წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ავტოსატრანსპორტო საშუალებების სადგომის მოწყობის მიზნით.

მუხლი 2. წლიური საიჯარო ქირა განსაზღვრულია სახელმწიფო შესყიდვების 11.02.2016 წლის N57 ხელშეკრულებით გამარჯვებული შპს „კომპაუდის“ 22.03.2016 წლის N341 დასკვნის საფუძველზე, რომელიც შეადგენს 3775.0 (სამიათასშვიდასამოცდათხუთმეტი) ლარს.

მუხლი 3. წლიური საიჯარო ქირა ყოველი 5 /ხუთი/ კალენდარული წლის შემდეგ, უნდა გაიზარდოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ინფლაციის ინდექსის რთული წლიური ზრდის მაჩვენებლის 5 /ხუთი/ წლის ჯამური ოდენობის შესაბამისად.

მუხლი 4. შპს „იმედი XXI საუკუნე“ /ს.კ. 212700077/ სარგებლობაში გადაცემულ ქონებაზე საკუთარი სახსრებით მოაწყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან შეთანხმებული პროექტის მიხედვით უფასო ავტოსადგომი.

მუხლი 5. შპს „იმედი XXI საუკუნე“ /ს.კ. 212700077/ ვალდებულია უზრუნველყოს იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემული ქონების, იჯარის გარეშე დარჩენილი ტროტუარისა და გაზონის ნაწილის კეთილმოწყობა რეგულარულად, იჯარის უფლების მოქმედების ვადით.

მუხლი 6. შპს „იმედი XXI საუკუნე“ /ს.კ. 212700077/ უზრუნველყოს ავტოსადგომის, გაზონისა და ტროტუარების მოსაწყობად არანაკლებ, 25 000.0 ლარის ინვესტიციის განხორციელება, საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) თვის განმავლობაში და ზემოაღნიშნულ ქონებაზე განხორციელებული ინვესტიციის შესახებ სერთიფიცირებული აუდიტის მიერ დადებული დასკვნის წარმოდგენა, სამუშაოს დასრულებიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. შპს „იმედი XXI საუკუნე“ /ს.კ. 212700077/ წლიური საიჯარო ქირის შემოდინება დაიწყოს სარგებლობაში გადასაცემი ქონების ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) წლის შემდეგ.

მუხლი 8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, შოთა მურდულიამ უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 9. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 10. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 11. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი